საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1712

30/12/2021

ქ. თბილისი

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების გაერთიანებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2021 წლის 21 ოქტომბერს სამინისტროს მომართა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ გარემოს დაცვის მენეჯერმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების გაერთიანება.

2009 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ქ. რუსთავში შპს „საქცემენტის“ ცემენტის წარმოებაზე გაცემულია №109 (29.12.2009) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2012 წელს სახელის ცვლილების გამო გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაიცა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიაზე“. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად და კომპანიის მომართვის საფუძველზე 2018 წლის 15 აგვისტოს გაიცა „შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-674 ბრძანება.

2020 წელს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით სამინისტროში წარმოდგენილ იქნა ქ. რუსთავში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ რუსთავის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (№1 ღუმელის დემონტაჟის) პროექტის სკრინინგის განცხადება, რომელზეც 2020 წლის 26 თებერვალს გაიცა „ქ. რუსთავში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ რუსთავის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (№1 ღუმელის დემონტაჟი) პროექტზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-180 ბრძანება. აღნიშნული სკრინინგის გადაწყვეტილებით რუსთავის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (№1 ღუმელის დემონტაჟი) არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. 2021 წლის 22 აპრილს ამავე პროექტის ცვლილებაზე (კლინკერის №2 ღუმელის და №3 მბრუნავი ღუმელის დემონტაჟი) გაიცა „ქ. რუსთავში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ რუსთავის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (კლინკერის №2 ღუმელის და №3 მბრუნავი ღუმელის დემონტაჟი) პროექტზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-489 ბრძანება. აღნიშნული სკრინინგის გადაწყვეტილებით რუსთავის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (კლინკერის №2 ღუმელის და №3 მბრუნავი ღუმელის დემონტაჟი) ასევე არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

2013 წელს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ქართული ცემენტის“ ცემენტის წარმოებაზე გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის №13 (02.04.2013) დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2017 წლის 14 მარტის მომართვის საფუძველზე, რომლის თანახმადაც მოხდა შპს „ქართული ცემენტის“ შერწყმა შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსთან“ და შპს “ჰაიდელბერგბეტონ ჯორჯიასთან“ და გაერთიანების შედეგად კომპანიას ეწოდა შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“, სამინისტროს მიერ შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსზე“ გაიცა სანებართვო მოწმობა. 2018 წელს მოხდა შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსისა“ და შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ შერწყმა და რეორგანიზაციის შედეგად რეგისტრირებული სუბიექტი გახდა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“. შესაბამისად, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, აღნიშნულ პროექტზე გაიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 12 ივლისის №2-554 ბრძანება „შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

წარმოდგენილი განაცხადის თანახმად, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები ტექნიკურად ურთიერთდაკავშირებულია.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-13 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი ახორციელებს კოდექსის I და II დანართებით გათვალისწინებულ საქმიანობებს, რომლებისთვისაც გაცემულია რამდენიმე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და რომლებიც ტექნიკურად ან/და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია, იგი უფლებამოსილია მომართოს სამინისტროს განცხადებით და მოითხოვოს ამ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების ერთ გადაწყვეტილებად გაერთიანება. სამინისტრო მარტივი ადმინისტრაციული წესით იღებს გადაწყვეტილებას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების გაერთიანების შესახებ.

ამავდროულად ძალადაკარგულად ცხადდება „შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 15 აგვისტოს №2-674 და 2018 წლის 12 ივლისის №2-554 ბრძანებები, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2009 წლის №109 და 2013 წლის №13 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები, რომლებიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-13 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების გაერთიანების შესახებ თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების საფუძველზე (დასკვნა №109; 29.12.2009; დასკვნა №13; 02.04.2013);
2. შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებაზე თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების (დასკვნა №109; 29.12.2009; დასკვნა №13; 02.04.2013) პირობების, ასევე „ქ. რუსთავში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ რუსთავის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (№1 ღუმელის დემონტაჟი) პროექტზე

სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 26 თებერვლის №2-180 ბრძანებისა და „ქ. რუსთავში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ რუსთავის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (კლინკერის N2 ღუმელის და N3 მბრუნავი ღუმელის დემონტაჟი) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 22 აპრილის №2-489 ბრძანების შესაბამისად.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

   ა) „შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 15 აგვისტოს №2-674 ბრძანება;

   ბ) „შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 12 ივლისის №2-554 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი